თვითშეფასება და მარტოობის განცდა, როგორც ცხოვრებით კმაყოფილებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის განმსაზღვრელი ფაქტორები ოჯახთან ერთად მცოვრებ და პანსიონატის ბენეფიციარ ხანდაზმულებში

ხატია ბერიკიშვილი

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა ძაძამია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხატია ბერიკიშვილი

20.06.2024

სარჩევი

აბსტრაქტი 4

Abstract 5

ცხოვრებით კმაყოფილება ხანდაზმულ ადამიანებში 8

თვითშეფასება ხანდაზმულებში 10

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა ხანდაზმულებში 13

მარტოობის განცდა ხანდაზმულებში 15

ხანდაზმულთა პანსიონატში ცხოვრება 16

კვლევის კითხვები და ჰიპოთეზები 16

კვლევის მეთოდი 18

შერჩევა 19

პროცედურა 19

ინსტრუმენტები 19

ცხოვრებით კმაყოფილების საზომი ინსტრუმენტი 19

თვითშეფასების საზომი ინსტრუმენტი 21

ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის საზომი ინსტრუმენტი 22

მარტოობის განცდის საზომი ინსტრუმენტი 24

მონაცემთა ანალიზი 25

შედეგები 25

აღწერითი სტატისტიკა 25

კორელაციური ანალიზი (კორელაციის ცხრილის ინტერპრეტაცია) 26

რეგრესიული ანალიზი 27

შედეგების განხილვა 29

დასკვნა და რეკომენდაციები 31

კვლევის შეზღუდვები 32

ბიბლიოგრაფია 33

აბსტრაქტი

ხანდაზმული ადამიანების ცხოვრებაში, ფიზიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ფსიქიკური კეთილდღეობაც. შესაბამისად, საინტერესო და საჭიროა იმ ფაქტორების შესწავლა და გაანალიზება, რაც უწყობს ხელს ხანდაზმულთა ცხოვრების ხარისხის ამაღლებას და ასევე ყურადსაღებია ხელისშემშლელი ფაქტორებიც. წინამდებარე კვლევის მიზანია დაადგინოს წინასწარმეტყველებს თუ არა მარტოობის განცდა და თვითშეფასება ცხოვრებით კმაყოფილებასა და ფსიქოლოგიურად კარგად ყოფნას ხანდაზმულებში. ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს პანსიონატის ბენეფიციართა თვითშეფასების, მარტოობის განცდის, ცხოვრებით კმაყოფილებისა და ფსიქოლოგიური კარგად ყოფნის მაჩვენებლები განსხვავდება თუ არა ოჯახთან ერთად მცხოვრებ ხანდაზმულთა მონაცემებისაგან. კვლევა რაოდენობრივი ხასიათისაა. კვლევის მონაცემების შეგროვება მოხდა ნაწილობრივ ონლაინ ფორმატით, ნაწილობრივ პირისპირ, ამ ოთხი ცვლადის შესაბამისი საკვლევი ინსტრუმენტების გამოყენებით. ცდისპირთა რაოდენობამ შეადგინა 92 ხანდაზმული, რომელთაგანაც 52 პანსიონატის ბენეფიციარია. მოხდა მიღებული პასუხების სტატისტიკურად დამუშავება. ცვლადთა შორის კავშირების დასადგენად გაკეთდა კორელაციური და რეგრესიული ანალიზი. ჯგუფთა შორის განსხვავების შესამოწმებლად გამოყენებულია Independent-samples t-test. შედეგების თანახმად, ხანდაზმულებში მარტოობის განცდა და თვითშეფასება წინასწარმეტყველებს ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნას, ცხოვრებით კმაყოფილებას მხოლოდ მარტოობის განცდა წინასწარმეტყველებს, და არა თვითსეფასება. ასევე დადგინდა, რომ საკვლევ ჯგუფებში, ზემოთხსენებული ოთხივე ცვლადის მაჩვენებლებ განსხვავდებიან. კვლევის საფუზველზე მიღებული შედეგები ნათელს ხდის იმ ფაქტორებს, თუ რა გამოწვევებისა და პრობლემების წინაშე დგას აღნიშნული პოპულაცია, შესაბამისად ხელს შეუწყობს პრობლემის აღმოსაფხვრელი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: გეროფსიქოლოგია, ხანდაზმულები, პანსიონატი, მარტოობის განცდა, თვითშეფასება, ცხოვრებით კმაყოფილება, ფსიქოლოგიური კარგად ყოფნა.

Abstract

In addition to maintaining physical health and well-being, mental well-being is crucial in the lives of older adults. Therefore, it is essential to study and analyze the factors that enhance the quality of life for the elderly, as well as identify those that hinder it. This study aims to determine whether loneliness and self-esteem predict life satisfaction and psychological well-being in older adults. Additionally, it seeks to compare self-esteem, feelings of loneliness, life satisfaction, and psychological well-being between elderly residents of boarding houses and those living with their families. This research is quantitative in nature. Data were collected through surveys, administered both online and face-to-face, utilizing instruments relevant to the four variables under study. The sample consisted of 92 elderly individuals, with 52 residing in boarding houses. The collected responses were statistically analyzed. Correlation and regression analyses were conducted to explore relationships between variables, and an independent-samples t-test was used to examine differences between the groups. The results indicate that loneliness and self-esteem in the elderly predict psychological well-being, while only loneliness, not self-esteem, predicts life satisfaction. Furthermore, significant differences were found between the two groups in all four variables. The findings of this study elucidate the challenges and issues faced by the elderly, which can inform the planning and implementation of measures to address these problems.

Keywords: geropsychology, elderly people, boarding house, loneliness, self-esteem, life satisfaction, psychological well-being.